16/05/2024

MES 2 24 0000533901

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2024 წლის 24 აპრილს 14:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარე;
ხათუნა ჩხარტიშვილი - სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ტიტე ბოლქვაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;
გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
მარიამ ქუჩულორია -ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს მდივანი;
ნატალია კვაჭანტირაძე- საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი / საბჭოს წევრი;
ვალერი გულბანი - ა(ა)იპ - ის - კვლევა და ინოვაცია ბიზნესის განვითარებისთვის დირექტორი / საბჭოს წევრი;
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
დავით ჯინჭარაძე- სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი / საბჭოს წევრი.

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში- ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო ხელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
სალომე ქუთათელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნონა საათაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

- ლევან მადათოვი
- ვერიკო ჭიღლაძე
- დავით კუპატაძე
- ნანა შარაბიძე
- მედეა ზურაბიშვილი

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს არსი
დირექტორი - ნათია ნოზაძე.

ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)
დირექტორი - მარინე იოსელიანი;
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი - დავით წასიძე;
პროფესიული სწავლების ხარისხის მენეჯერი- ნესტან ინასარიძე;
სოფლის მეურნეობის განვითარებისა და პროფესიული სწავლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების უმაღლესი პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი - ნანა ქაშაკაშვილი;
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი - თედო სანიკიძე;
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი - ნიკა გიგაური;
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი - გიორგი ტომარაძე;
შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების უმაღლესი პროფესიული პროგრამის კოორდინატორი - ეკა მოლაშხია.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი კავკასიონი
დირექტორი - რაინდი ლომაია;
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი - ბაკურ პატარიძე.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:05 საათი.
ქალბატონი შორენა ჯაფარიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული

შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:
1. შპს არსის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისთვის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ "კავკასიონის" "საფინანსო სერვისების" პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონდა.

პირველი საკითხი: შპს არსის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ლევან მადათოვი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 22 აგვისტოს №1022035 ოქმის გათვალისწინებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 4 მარტის №263214 ბრძანების საფუძველზე, 2024 წლის 15 მარტს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს ,,არსში" (ქ. რუსთავში, აფხაზეთის ქ №12) დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31 - ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტის „დ.ა" და „ე" ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტის „ე.ბ" კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. (მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე). ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. მოხდა გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან. ვიზიტის დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ადმინისტრაციას გააცნო ვიზიტის ძირითადი მიგნებები.

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციების შესრულება:
სტანდარტი IV
სტანდარტის 4.1 კომპონენტი შეფასებულია, როგორც, „მეტწილად შესაბამისი", ვინაიდან:
ინდიკატორი 4.1.1.1 მეტწილ შესაბამისობაშია, მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები არ არის მკაფიოდ განსაზღვრული და საჭიროებს მოდიფიცირებას, დასაზუსტებელია კოლეჯის მართვის ორგანოები და მათი შემადგენლობა/უფლებამოსილებები, დასაზუტებელია კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერის და ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქციები, დასაზუსტებელია ტერმინების (დეკანი, ფაკულტეტი, წარმომადგენლობითი საბჭო) რელევანტურობა პროფესიული განათლების სპეციფიკასთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია იხ. დასკვნის 4.1.1.1 პუნქტი**
ინდიკატორი 4.1.1.2 მეტწილ შესაბამისობაშია, დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს არ უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას, დასაზუსტებელია კოლეჯის მართვის ორგანოები და მათი შემადგენლობა/უფლებამოსილებები, დასაზუტებელია კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერის და ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქციები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, იხ. დასკვნის 4.1.1.2 პუნქტი**
ინდიკატორი 4.1.1.3 მეტწილ შესაბამისობაშია, დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების ფუნქციები არ გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერისა და თანაშემწის ფუნქციები ასევე მოიცავს სასწავლო პროცესის ადმინისტრირებასთან, პერსონალის მართვასთან, პროფესიული სტუდენტების კარიერულ მართვასთან და სხვ. პროცესთან დაკავშირებულ მოვალეობებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, იხ. დასკვნის 4.1.1.3 პუნქტი**
ინდიკატორი 4.1.2.1 მეტწილ შესაბამისობაშია, დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ნაწილობრივ ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის მიხედვით, შესაბამისად პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები არ არის სრულ შესაბამისობაში კანონმდებლობის მოთხოვნებთან, არასრულადაა წარმოდგენილი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების უზრუნველსაყოფად ცნობა - „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ". **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, იხ. დასკვნის 4.1.2.1 პუნქტი**

ინდიკატორი 4.1.2.2 მეტწილ შესაბამისობაშია, დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები არასრულად უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას, ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით, დაწესებულებამ გადახედოს პერსონალის შერჩევის პოლიტიკასა და პროცედურებს და პერსონალის შერჩევისას სხვა მოთხოვნებთან ერთად, გაითვალისწინოს კანდიდატის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისობა კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, იხ. დასკვნის 4.1.2.2 პუნქტი**

ინდიკატორი 4.1.2.3 მეტწილ შესაბამისობაშია, პერსონალის ნაწილის კვალიფიკაცია არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, გადახედვას საჭიროებს დაწესებულების კანცელარიის თანამშრომლის კვალიფიკაციის შესაბამისობა კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, იხ. დასკვნის 4.1.2.3 პუნქტი**

სტანდარტი V

სტანდარტის 5.2 კომპონენტი შეფასებულია, როგორც, „მეტწილად შესაბამისი“, ვინაიდან:
ინდიკატორი 5.2.2.2 მეტწილ შესაბამისობაშია, დაწესებულებაში დანერგილია ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა, თუმცა არ ფუნქციონირებს სრულფასოვნად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, იხ. დასკვნის 5.2.2.2 პუნქტი**

დაწესებულებას 2023 წლის 24 ივლისის №073 წერილით წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რის მიხედვით, დაწესებულებას, მეტწილი შესაბამისობის დასაძლევად, იდენტიფიცირებული ჰქონდა შესაბამისი აქტივობები, ხოლო მათი შესრულებისთვის განსაზღვრული ჰქონდა 6 თვე. შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქტივობები განხორციელებულ იქნა.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია 4.1.1.2 ინდიკატორის ფარგლებში - საზოგადოებასთან ურთიერთობის უზრუნველყოფის ფუნქცია-მოვალეობები და ანგარიშვალდებულება მკაფიოდ გაიწეროს იმ პოზიციის/პოზიციების სამსახურებრივ აღწერილობებში, რომელთა ვალდებულებასაც წარმოადგენს აღნიშნული ფუნქციის შესრულება.

ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ კომპონენტი 4.1.1.2 შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“, რადგან დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს არ უწყობდა პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას, დასაზუსტებელი იყო კოლეჯის მართვის ორგანოები და მათი შემადგენლობა/უფლებამოსილებები, დასაზუსტებელი იყო კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერის და ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქციები, თუმცა მაინც დარჩა განმავითარებელი რეკომენდაციის მიცემის აუცილებლობა.

შპს არსის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდგომ კოლეჯის მიერ მოხდა სტრუქტურული ერთეულების/პოზიციების ფუნქცია-მოვალეობების დახვეწა, დაკონკრეტება და გამიჯვნა, რაც უზრუნველყოფს წინა ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციის შესრულებას. დაწესებულებაში ფუნქციათა გადანაწილება ხელს უწყობს კოლეჯის ძირითადი საქმიანობის შესრულებას, დასახული მიზნების მიღწევას და ხელს უწყობს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში განსაზღვრული ამოცანების შესრულებას, თუმცა საზოგადოებასთან

ურთიერთობის ფუნქცია-მოვალეობების არცერთი პოზიციის სამსახურეობრივ აღწერილობაში არ არის გაწერილი. დირექტორთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან მიზნობრივი გასაუბრებით დადგინდა, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის უზრუნველყოფის მოვალეობა თანაბრად ნაწილდება სასწავლო პროცესის მენეჯერს, კარიერის მართვისა და პროფორიენტაციის სპეციალისტზე. ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშნულ პოზიციებზე დანიშნულ პირებთან ინტერვიუირების გზით გადამოწმდა, იცნობდნენ თუ არა ისინი დაკისრებულ მოვალეობებს, როგორ ხდებოდა მათ მიერ ფუნქციათა გადანაწილება და შესრულებული სამუშაოს ანგარიშგება. შედეგად დადგინდა, რომ მათ მიერ აღნიშნული ფუნქციების შესრულება გაწერილია შიდა ინსტრუქციების დოკუმენტით, საზოგადოებასთან ურთიერთობის/ კომუნიკაციის წესში. სასწავლო პროცესის მენეჯერმა, კარიერის მართვის და პროფორიენტაციის სპეციალისტმა გასაუბრების დროს დაადასტურეს, რომ იცნობენ დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს. აღნიშნულის მტკიცებულებად მათ მიერ წარმოდგენილი იქნა სამსახურეობრივი ანგარიშები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასევე შემოწმდა დაწესებულების ვებ-გვერდი და სოც. ქსელები. შესაბამისად დაწესებულებაში პროცესების შესრულება დასტურდება, თუმცა დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია საზოგადოებასთან ურთიერთობის უზრუნველყოფის ფუნქცია-მოვალეობები და ანგარიშვალდებულება მკაფიოდ გაიწეროს იმ პოზიციის/პოზიციების სამსახურეობრივ აღწერილობებში, რომელთა ვალდებულებასაც წარმოადგენს აღნიშნული ფუნქციის შესრულება.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

ექსპერტის განცხადებით, პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს. ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ კოლეჯს გააჩნია სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული საქმიანობის შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, რომელიც აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისთვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერებით. კოლეჯში IT რისკების მართვის პროცედურას ახორციელებს კომპიუტერული ცენტრის კურატორი, რომელიც ახორციელებს ინფორმაციული ტექნოლოგიების მდგომარეობის შეფასებას და ანგარიშს წარუდგენს დირექტორს. ხოლო სხვა შემთხვევაში, საჭიროების დადგომისთანავე მყისიერად ხდება გამოვლენილ ხარვეზზე რეაგირება. კოლეჯში კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობა დასაშვებია სასწავლო და სამუშაო მიზნებისთვის შეუზღუდავად. კომუნიკაციის მიზნით, კოლეჯი იყენებს ელექტრონულ ფოსტას, ინტერვიუირებისას დადგინდა, რომ პერსონალი პროფესიულ სტუდენტებთან კომუნიკაციის მიზნით, იყენებს Google-ს პლატფორმას, სოციალურ ქსელში შექმნილ ჯგუფებს. ასევე, კოლეჯში ფუნქციონირებს ისეთი ელექტრონული სერვისები, როგორიცაა: დოკუმენტაციის ბრუნვის ელექტრონული სისტემა „eflow“, სოციალური გვერდი და კოლეჯის ვებგვერდი. კოლეჯი საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს მხოლოდ ქართულ ენაზე. კოლეჯის მისიაში არ არის განსაზღვრული საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი. შესაბამისად, კოლეჯს აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდი, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, მოხდა თუ არა დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების ამსახველი დოკუმენტების გადახედვა, თუნდაც ვერიფიკაციის პროცესის ამსახველი დოკუმენტაციის, სადაც უკვე მკაფიოდ ჩანს, თუ ვინ უძღვება აღნიშნულ პროცესებს.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებაში თანამშრომელთა მცირე რაოდენობიდან გამომდინარე ბევრი ფუნქციები გადაფარული იყო. მისი თქმით, გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულების შიდა პროცესებში ყველა თანამშრომელი იყო ჩართული, თუმცა იურიდიული დოკუმენტაციაში გამოვლინდა ფუნქციების აღრევის ფაქტები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, ტიტე ბოლქვაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტის თქმით, დაწესებულებაში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ფუნქციები განაწილებული იყო სასწავლო პროცესის ხელმძღვანელზე და ჰქონდა თუ არა სასწავლო პროცესის ხელმძღვანელს რეალურად ამის დრო.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალი იმდენად მცირეა, რომ ფუნქციების ნაწილში ხდება გადაფარვა, თუმცა დროის მენეჯმენტის შესახებ დაწესებულებას შეეძლო განმარტების წარდგენა საბჭოს წევრებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ამ დროისთვის ორ პირზეა გადანაწილებული აღნიშნული ფუნქციები, რომელთაც ისინი თავს ართმევენ, თუმცა კოლეჯი ამ მიმართულებით განვითარებას გეგმავს და ადმინისტრაციული პერსონალის დამატებას აპირებს. ასევე, კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება კონსულტანტ პირთან ხარისხის მიმართულებით, რომელიც კიდევ უფრო კარგად გაუწევს დაწესებულებას კონსულტირებას ადმინისტრაციული პროცესების მოწესრიგებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, ხომ არ აპირებენ რაიმე ახალი პროგრამის დამატებას, ან ამათ გარდა თუ ახორციელებენ რომელიმე პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამებს.

დაწესებულების წარმომადგენლმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპისთვის ახალი პროგრამის დამატება არ იგეგმება ფართის სიმცირის გამო, ხოლო რაც შეეხება პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამებს, კოლეჯს აქვს ორი მოქმედი პროგრამა, „გერიატრიული ასისტენტი“ და „სალაროს ოპერაციები“, რომლებსაც წარმატებით ახორციელებენ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს არსში განხორციელებული ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს არსში (ს/კ: 216427999) განხორციელებული ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 24 აპრილი.

მეორე საკითხი: . ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისთვის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ლევან მადათოვი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 14 თებერვლის №156025 ბრძანების საფუძველზე 2024 წლის 27 თებერვალს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (ქ. თბილისი, გურამ ფანჯიკიძის №1/ პეკინის გამზირი №42ა) „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტების „ბ.ბ“ და „ბ.დ“ კომპონენტების, აგრეთვე „ე“ ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტების „ე.ა“ და „ე.ბ“ კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. მოხდა გასაუბრება ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და პროფესიულ სტუდენტებთან შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წინასწარ და ვიზიტის პერიოდში მოწოდებული ინფორმაცია. ვიზიტის დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ადმინისტრაციას გააცნო ვიზიტის ძირითადი მიგნებები. ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 21 ნოემბრის №91 გადაწყვეტილებით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. დაწესებულება ახორციელებს უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის, მეხუთე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“. თავდაპირველად პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განისაზღვრა 40 პროფესიული სტუდენტით, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის №140 გადაწყვეტილებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაიზარდა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა და განისაზღვრა 96 სტუდენტით. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი შემუშავებულია „ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“ პროექტის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს“ მიერ ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე კომპაქტის ფარგლებში.
მიმდინარე წარმოების ფარგლებში დაწესებულებამ შეიცვალა პროგრამის განხორციელების ფართი და პროგრამა განხორციელდება მისამართზე: ქ. თბილისი, გურამ ფანჯიკიძის №1/ პეკინის გამზირი №42ა. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას ავტორიზაციის მიმდინარე სტატუსი ეწურება 2024 წლის 21 ნოემბერს.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება
ინდიკატორი 5.1.2.1 - დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში მეტწილად დაცულია უსაფრთხოების ზომები; ინსტიტუტმა წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2024 წლის 17 იანვრის № MIA 1 24 00145037 წერილით გაცემული მიწერილობა, რომლითაც განისაზღვრა ღონისძიებების გატარება გრაფიკის შესაბამისად, არაუგვიანეს 2024 წლის 30 ივნისისა. ინსტიტუტმა წარმოადგინა რექტორის 2024 წლის 24 იანვრის №01-24/20 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველმყოფი ღონისძიებების განხორციელების გეგმა-გრაფიკი გასატარებელი ღონისძიების, განხორციელების ვადის და შესაბამისი რესურსის მითითებით.

დაწესებულებამ დადგენილ ვადაში უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება
ინდიკატორი 5.1.1.1 - ამ ეტაპზე დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით 2024 წლის 21 ნოემბრამდე, თუმცა, აღსანიშნავია, რომ იჯარის მოქმედი ხელშეკრულება გაფორმებულია მოქმედი ავტორიზაციის ვადით, შესაბამისად, საგანმანათლებლო სტატუსის ხელახლა მოპოვების მიზნით განახლებული იჯარის ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს მომდევნო 6 წლის ვადით.

5.2.3.3. ჯიპას არ აქვს ფორმალიზებული საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი. განხორციელდა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომლებთან ინტერვიუირება და წლიური ანგარიშების შეჯამება, დაწესებულების მიერ გავრცელებული ინფორმაციის სანდოობა და უტყუარობა. ანალიზის შესაბამისად დადგინდა, რომ, ჯიპა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის, მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას, თუმცა, რეკომენდირებულია შემუშავდეს პროცესების ფორმალიზება და გაიწეროს შესაბამისი პროცედურები საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესში.

ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არგაზიარების თაობაზე

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების მიერ 2024 წლის 5 აპრილის N 02-24/51 წერილით წარმოდგენილია არგუმენტირებული პოზიცია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტთან დაკავშირებით. წერილში აღნიშნულია, რომ ჯიპა ითვალისწინებს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის უზრუნველმყოფი ღონისძიებების განხორციელების გეგმა-გრაფიკს, რაც შეეხება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოებას, წარმოდგენილია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა (N 001721324), რომლის მიხედვითაც ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მფლობელობაში არსებული თბილისში, გურამ ფანჯიკიძის N1/პეკინის გამზირის N42ა-ში მდებარე შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

ექსპერტის განცხადებით, ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს ახალ მისამართზე: (ქ. თბილისი, გურამ ფანჯიკიძის №1/ პეკინის გამზირი №42ა). დაწესებულებამ წარმოადგინა სასწავლო რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შენობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობით, ხელოვნური და ბუნებრივი განათებით, სველი წერტილებით, პანდუსებით, ლიფტით, უწყვეტი ინტერნეტით. სასწავლო აუდიტორიები და ზემოაღნიშნული ფართები აღჭურვილია საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსით, რაც უზრუნველყოფს მათ დანიშნულების შესაბამის ფუნქციონირებას. . დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, დამტკიცებულია ,,შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა“ და შრომის უსაფრთხოების მარეგულირებელი წესი. დოკუმენტში PDCA პრინციპის გამოყენებით განსაზღვრულია შრომის უსაფრთხოების მართვასთან დაკავშირებული პროცესები, ინსტიტუტს დასაქმებული ჰყავს 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები, დაწესებულების მფლობელობაში არსებულ ყველა სასწავლო და ადმინისტრაციულ ფართს, მოსასვენებელ სივრცეებსა და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია ინსტიტუტის ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება, დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.

საბჭოს წევრმა, მარიამ ქუჩულორიამ, დატოვა საბჭოს სხდომა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“

ექსპერტის განცხადებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ადეკვატურია. მოდულების განხორციელებისათვის დაწესებულებას მოწყობილი აქვს AC სასწავლო გარემო, რომელიც ამ

პროგრამის მიზნებისთვის არის გამოყოფილი. ასევე, 2 A სასწავლო გარემო. თითოეული აუდიტორია გათვლილია 24 პროფესიულ სტუდენტზე. პროგრამის განხორციელებისათვის, ასევე, გამოიყენება B სასწავლო გარემო, რომელიც გათვლილია 24 პროფესიულ სტუდენტზე აღჭურვილია ინვენტარით. ა(ა)იპ ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის თანახმად სწავლის განხორციელება შესაძლებელია 2 ცვლაში. ერთდროულად სწავლება შეიძლება განხორციელდეს არაუმეტეს 4 ჯგუფში, თითოეულ ჯგუფში მიღება ხორციელდება არაუმეტეს 24 პროფესიული სტუდენტისა. „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება 96 პროფესიული სტუდენტით. ამჟამად აქტიური სტუდენტია 87, სტატუს შეწყვეტილი - 17, სტატუს შეჩერებული - 70, კურსდამთავრებული - 114. აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი 20 ორგანიზაციასთან ჯამში 141 პროფესიულ სტუდენტზე, ვიზიტის პერიოდში მოხდა - შპს ,,ექსპერტს ფორ სოლუშენს'', შპს ჯეო „სეიფთი“, შპს „საფკო“ წარმომადგენლებთან გასაუბრება, ექსპერტთა შეფასებით პარტნიორი დაწესებულებების დამოკიდებულება და განწყობა დამაკმაყოფილებელია, მათი მხარდაჭერა მნიშვნელოვან როლს ასრულებს პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების მიღწევაში. პროგრამით გათვალისწინებული მოდულების განხორციელების მიზნით, დაწესებულებამ შრომითი ხელშეკრულება გააფორმა 47 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. ზოგადი მოდულების განხორციელების მიზნით დაწესებულებას შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს 8 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, დარგობრივი მოდულების განხორციელების მიზნით - 39 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. თითოეული მოდულისთვის დაწესებულებს ჰყავს მინიმუმ 2 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთანაც გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულებები. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. პროგრამის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. შემოსავლის წყაროა სწავლის საფასური. სწავლის საფასურის 70% არის ვაუჩერული დაფინანსება, ხოლო 30% - ს იხდის თავად სტუდენტი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროგრამის განხორციელების ბიუჯეტი, რენტაბელურობის ზღვარად მიჩნეულია 80 პროფესიული სტუდენტი. ბიუჯეტში რეალისტურადაა აღწერილი შემოსავლები და ხარჯები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების შემთხვევაში შემხვედრი ღონისძიებების გატარებას. პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სტუდენტების საჭიროებების მიხედვით დგება სასწავლო გეგმა ან ხორციელდება მისი კონკრეტული მოდულის სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომით განხორციელება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს კითხვით, დაწესებულებას ჯამში კვოტა აქვს 96, ერთ მიღებაზე იღებენ 48 სტუდენტს, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა 2 წელია, ამასთან აქვთ მხოლოდ ორი A გარემო და რამდენად საკმარისია ეს ყველაფერი იმისთვის, რომ სასწავლო პროცესი ნორმალურად წარიმართოს.

დარგის ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროგრამის განხორციელება დაგეგმილი აქვს ორ ცვლაში, რომელიც 4 ჯგუფად იქნება განაწილებული, რაც უზრუნველყოფს გარემოს გამტარუნარიანობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, რომ უფრო დაწვრილებით ესაუბრათ 5.1 კომპონენტზე, კერძოდ, სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე და განემარტა თუ რა მდგომარეობაა ამ ეტაპზე.

ექსპერტის განცხადებით, ის მიწერილობა, რაც იქნა გაწერილი შესაბამისი ორგანოს მიერ, მოიცავს ერთი წლის მონაკვეთს და ზუსტად ამ ერთ წელს მოერგო დაწესებულება. მისი თქმით, კოლეჯს ამოცანების უმრავლესობა შესრულებული ჰქონდა, თუმცა დარჩენილია გარკვეული პრობლემური საკითხები, რომელიც აღნიშნულ პერიოდში უნდა აღმოიფხვრას.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ თვალშისაცემი იყო სტატუს შეჩერებული სტუდენტების რაოდენობა, რომელიც 70 შეადგენს, ხოლო სტატუს შეწყვეტილთა - 17-ს, რაც მთლიანობაში 96 სტუდენტიანი კვოტის ფარგლებში საკმაოდ დიდი ციფრია. ექსპერტთა ჯგუფს ხომ არ უკითხავს, თუ რამ განაპირობა ასეთი დიდი რაოდენობა, რა იყო შეჩერების მიზეზი ამ 70 სტუდენტისთვის და როგორია კვალიფიკაციამინიჭებულთა მაჩვენებელი ამ პროგრამაზე.

ექსპერტის განმარტებით, ერთ მიზეზი ამისა არის ის, რომ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში განსაზღვრული აქვთ, რომ 33%- იანი მოცულობის გაცდენაზე სტატუსი უჩერდება სტუდენტს, რაც 2019 წლიდან მოქმედებს. რაც შეეხება, კურსდამთავრებულთა რაოდენობას - 114 შეადგენს. მისი თქმით, დასაქმებულთა მაჩვენებლის გადამოწმება პერიოდულად ხდება სატელეფონო ზარებისა და ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დასაქმების მაჩვენებლის მიხედვით თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა, 92% -ია დასაქმებული, თუმცა უშუალოდ პროფესიით დასაქმებულია 75% -მდე. დაწესებულებას, ასევე, გაზიარებული აქვს კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები, რომელსაც ისინი ყოველწლიურად ატარებენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, ტიტე ბოლქვაძემ, მიმართა ექსპერტს კითხვით, ხომ არ უქმნის დაწესებულებაში არსებული გარემო საფრთხეს სტუდენტთა უსაფრთხო სასწავლო პროცესს.

ექსპერტის განცხადებით, ისინი გაესაუბრნენ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს და სახანძრო უსაფრთხოების კუთხით, მათი თქმით ინსტრუქტაჟი ჩატარებულია, რისკები პერიოდულად ფასდება და ეს დოკუმენტიც ადგილზე გადამოწმდა. რაც შეეხება შენობა/ნაგებობების დასკვნას, არ იყო წარმოდგენილი ვიზიტის პერიოდში, რაც დახარვეზდა, ხოლო აღნიშნული დადებითი სამხარაულის ბიუროს დასკვნა წარმოდგენილ იქნა უკვე დასკვნის ეტაპზე, სადაც გარკვეული გასაუმჯობესებელი საკითხები იყო, მაგალითად ზედა დაშენებული სართულის გამაგრება, თუმცა დასკვნაში გარკვევით წერია რომ შენობა არის მყარი და არ უქმნის საფრთხეს სასწავლო პროცესის განხორციელებას.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ხათუნა ჩხარტიშვილმა, მიმართა კითხვით ექსპერტს, ვინაიდან რისკის შეფასების დოკუმენტი გარკვეულ ვადებზეა გაწერილი, მოხდა, თუ არა ექსპერტთა მიერ ამის გადამოწმება.

ექსპერტის განმარტებით, ამის შეფასება შესაბამისი ორგანოს მიერ 6 თვეში ერთხელ ხდება და იქედან გამომდინარე, რომ ეს დაბალი რისკის ობიექტია, სახანძრო უსაფრთხოების საკითხების მოწესრიგება პირდაპირ მიბმული იყო იმ ვადებზე, რაც გაწერილი ჰქონდა საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების სამსახურს, შესაბამისად ლოგიკურია, რომ იმ ვადებში თუ არ შესრულდა, კიდევ ერთხელ უნდა იქნეს გაცემული სპეციალისტის მხრიდან მიმართვა ორგანიზაციის ხელმძღვანელისათვის, რომ შესაბამისი ზომები იქნას მიღებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხებთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არაერთი კვლევით დასტურდება ამ პროფესიით დასაქმების მაღალი მაჩვენებელი კურსდამთავრებულებში, მათ შორის არიან როგორც სკოლადამთავრებულები, ასევე, შრომის უსაფრთხოების მოქმედი სერტიფიცირებული სპეციალისტებიც. რაც შეეხება სტატუს შეჩერებულ სტუდენტებს, ერთ-ერთი მიზეზი ამისა არის მათი დასაქმება და მომდევნო წელს შესაძლოა გააგრძელონ სწავლა. კიდევ ერთი ფაქტორი როგორც აღინიშნა, არის 33% -იანი გაცდენების ზღვარი, რაც ეფექტურად მუშაობს, იმიტომ, რომ კოლეჯი დიდ ყურადღებას აქცევს სწავლების ხარისხს, იმიტომ რომ 48 სტუდენტი არის რამდენს სტუდენტსაც ჩვენ ყოველ წელს ვიღებთ და 96 არის საერთო კვოტა.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, სტატუსის შეჩერების მაღალი მაჩვენებელი იქედანაც მოდიოდა, რომ ზოგიერთი სტუდენტი სწავლის პროცესში საქმდება და ამიტომ იჩერებენ სტატუსს, ხოლო მერე ისევ აღიდგენენ ხოლმე. იყო თუ არა სტუდენტთა მხრიდან მომართვიანობა იმის შესახებ, რომ შექმნილიყო მათზე მოქნილი სასწავლო გრაფიკი და ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ისეთ შემთხვევაში, როდესაც სტუდენტი დასაქმებულია და მისი სამუშაო გრაფიკი არ ემთხვევა სასწავლო გრაფიკს, მათ განცხადების საფუძველზე ხდება სტატუსის შეჩერება, თუმცა რა თქმა უნდა ინდივიდუალურ გრაფიკს უნივერსიტეტი როგორც სხვა პროგრამაზე, აქაც ითვალისწინებს. ბოლო წელს დაწესებულებას ინდივიდუალური გრაფიკის შედგენის შემთხვევა არ ჰქონია, თუმცა აღნიშნულ საკითხში უნივერსიტეტი ღია და მოქნილია. აღსანიშნავია, რომ დასაქმებულებისთვის არის მეორე ცვლის ჯგუფები. უნივერსიტეტი შიდა ინსტრუმენტების გამოყენებით ყოველთვის ახდენს მონიტორინგს იმისა, თუ რა არის სტატუსის შეჩერების საფუძველი, მათი აბსოლუტური უმრავლესობა არის პირადი განცხადების საფუძველზე, ასევე, სამუშაო გრაფიკის შეუთავსებლობისა და გაცდენების 33% -იანი ზღვარის მიხედვით. რაც შეეხება სახანძრო უსაფრთხოებას, როგორც ექსპერტების მიერ აღინიშნა, უნივერსიტეტს აქვს 112 -ის მიერ მიღებული რეკომენდაცია და ვადები არსებული სახანძრო უსაფრთხოების სრულ შესაბამისობამდე მიყვანასთან დაკავშირებით. დაწესებულებას შედგენილი აქვს გეგმა დასკვნის ვადების შესაბამისად. რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი, როგორიცაა სახანძრო შეტყობინების სისტემა, საევაკუაციო გეგმები და ა.შ. , შესრულებულია. რაც შეეხება შენობის უსაფრთხოებას, აღნიშნულთან დაკავშირებით უნივერსიტეტმა მიმართა სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, მომზადდა შესაბამისი დასკვნა, რომლის მიხედვითაც შენობა უსაფრთხოა სასწავლო პროცესის ორგანიზებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისთვის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 52-ე მუხლის შესაბამისად, განხორციელდეს ა(ა)იპ -ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (ს/კ: 204429341) „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება **(დანართი 1).** გა დაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 24 აპრილი.

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგია (ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში 5.1 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღ ად განისაზღვროს 2024 წლის 7 ოქტომბერი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა.

მესამე საკითხი: შპს საზოგადოებრივ კოლეჯ "კავკასიონის" "საფინანსო სერვისების" პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნანა შარაბიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის №233317 ბრძანების (28.02.2024წ.) საფუძველზე შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა 14 მარტს განახორციელა ვიზიტი შპს საზოგადოებრივ კოლეჯში „კავკასიონი“ (მის: ქ. ქუთაისში, ოცხელის ქუჩა № 2 მდებარე შენობის მეხუთე და მეექვსე სართულები) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საფინანსო სერვისები“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის, პროგრამის სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით, შესწავლის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში შედგა შეხვედრა დაწესებულების დირექტორთან. ჩატარდა გასაუბრება კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“ პროფესიულ სტუდენტებთან. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა მოინახულეს პრაქტიკის ობიექტი (სს ლიბერთი ბანკი) და გაესაუბრნენ მის ხელმძღვანელობას.

ვიზიტის ფარგლებში არ გამოვლენილა ხარვეზები და არ გაცემულა რეკომენდაციები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საფინანსო სერვისები“

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“ საჭიროებს A, B და C სასწავლო გარემოს. შემოწმდა პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი სასწავლო ფართი - აუდიტორია (A), ასევე, აუდიტორია B სასწავლო გარემოსთვის, დაწესებულების სასწავლო სივრცეები და მატერიალური რესურსი იძლევა კვოტით გათვალისწინებული რაოდენობის პროფესიული სტუდენტების მომსახურეობის შესაძლებლობას. 48 პროფესიულ სტუდენტზე 2 ცვლის/2 ჯგუფის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას გათვლილი აქვს B გარემოს დატვირთვის სქემა, გაითვალისწინა რა წინა ვიზიტის დროს ექსპერტების რჩევა, 2 სასწავლო აუდიტორიას (B გარემო), მათი გამტარუნარიანობის გაზრდის მიზნით, დაამატა სრულად აღჭურვილი სივრცე (C გარემო), ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამისთვის. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი და ხელშეკრულება: სს ნიკორა ტრეიდი, სს ლიბერთი ბანკი, „ორი ნაბიჯი“. დაწესებულებამ

დაამატა დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი 2 მასწავლებელი. შესაბამისად „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 11 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან: ზოგადი მოდულებისთვის 7 განმახორციელებელი; პროფესიული მოდულებისთვის - 4 განმახორციელებელი. მიმდინარე ეტაპზე სწავლების პროცესში ჩართულია მხოლოდ სამი დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი მასწავლებელი, თითოეულის კვირეული დატვირთვა არ აჭარბებს 40 საათს. მომავალში, 2 ცვლის შემთხვევაში უკვე ჩაერთვება კიდევ ერთი დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი. ორი ცვლის შემთხვევაშიც თითოეულის კვირის დატვირთვა არ გადააჭარბებს 40 საათს. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, სასწავლებელს მიმდინარე ეტაპზე არ ჰყავს სსსმ პირი, თუმცა მას რეგულაციით განსაზღვრული აქვს, რომ მოახდენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტების სასწავლო პროცესში ინტეგრირებას. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, დირექტორის გადაწყვეტილებით, შშმპ-ის საჭიროებების გათვალისწინებით შესაძლებელია სასწავლო პროცესში სპეციალური უნარების მქონე პირების ჩართულობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, თუ რატომ გადაწყვიტეს სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ წინა წელს „საფინანსო სერვისების“ პროგრამაზე მოთხოვნა ძალიან მაღალი იყო, ასევე, აღსანიშნავია, რომ პარტნიორი ორგანიზაციებიც ითხოვენ კადრებს, აქვთ ბევრი ვაკანსია და ამან განაპირობა კვოტის გაზრდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს ესაუბრა დასაქმების მაჩვენებელზე.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნული პროგრამის გავლის შემდეგ სტუდენტები შეძლებენ დასაქმებას როგორც ბანკში, ისე სავაჭრო ობიექტებში, მოლარის პოზიციებზე. სტუდენტებს შეთავაზება ვაკანსიების თვალსაზრისით აქვთ, როგორც სავაჭრო ობიექტებიდან, ისე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან. ის სპეციალისტი, ვინც კურსდამთავრებულთან მუშაობს, აწარმოებს გამოკითხვას, ასევე. კოლეჯს კითხვარი განთავსებული აქვს ვებგვერდზე და კურსდამთავრებულებს ხშირად ანალიზის და პერსპექტივის თვალსაზრისით მუდმივად ეგზავნებათ შეტყობინებები, ასევე. ხდება მათთან დაკავშირებაც ტელეფონის საშუალებით, თუ სად არიან დასაქმებულები, რა პოზიციებზე და შესაბამისად შემდგომ კეთდება აღნიშნულის ანალიზი. მისი თქმით, ამ მიმართულებით უნარების სააგენტო მუშაობს და ჩართულია კოლეჯის კარიერული მართვის სპეციალისტიც, შესაბამისად ახალი გამოკითხვის შედეგებზე მუშაობა ახლაც მიმდინარეობს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივი კოლეჯისთვის "კავკასიონი" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "საფინანსო სერვისები" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ "კავკასიონს" (ს/კ: 412683813) დანართით განსაზღვრულ "საფინანსო სერვისების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 48-ით **(დანართი 2).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 24 აპრილი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 15:30 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ქუჩულორია მარიამ

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0712
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, გურამ ფანჯიკიძის No1/ პეკინის გამზირი No42ა.
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	96
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	საფინანსო სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0412
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ქუთაისი, ოცხელის No2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	48
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67